

## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №42

10.04.2019 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

16:00 სთ

#### სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), თარაშ შურღია, ლევან ჯაფარიძე, გიორგი დობტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

#### სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. თამარ შარაშიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. ერეკლე სუხიტაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ირინა ჭეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. ზურაბ კერესელიძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდუას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
5. გიორგი შერგილაშვილი - ინჟინერ-კონსტრუქტორი (სტუდია „ორიონ“);
6. გიგა ბათიაშვილი - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის კათედრის გამგე;
7. ზურაბ ბაქრაძე - ურბანისტი;
8. არჩილ მაღალაშვილი - საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებისა და საინჟინრო დეპარტამენტის დირექტორი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგების განხილვა.

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ერ. კუხიანიძე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ ისაუბრა ვერეს ხეობაში არსებული პრობლემების შესახებ და იმ გადაწყვეტილების თაობაზე, რომელიც კომისიის სხდომაზე უნდა იქნას მიღებული.

ბ-ნი ერეკლე კუხიანიძის განმარტებით, მთავარი მიზანია პრობლემის მთლიანობაში აღქმა, პრობლემის არსის ჩამოყალიბება, დადგინდეს რა მოცემულობაა და რეალურად რა არის საჭირო იმისთვის, რომ საფრთხე არ შეექმნას მოსახლეობას და აღნიშნულ სივრცეში არ განმეორდეს იგივე ტრაგედია, რაც მოხდა 2015 წლის 13-14 ივნისს.

აზრი გამოთქვა ბატონმა გიორგი შერგილაშვილმა, რომლის განმარტებით, ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, გასული საუკუნის 50 წლებში გაკეთდა ორი საავტომობილო გზა, რამაც გამოიწვია მდ. ვერეს კალაპოტის შეცვლა და დავიწროება.

ბ-ნმა გ. შერგილაშვილმა ასევე ისაუბრა მე-20 საუკუნის განმავლობაში მდ. ვერეს პერიოდულად ადიდებისა (1956, 1959, 1960 წ.წ.) და წყალდიდობით გამოწვეული ნეგატიური შედეგების თაობაზე.

გამომსვლელის აზრით, დღის წერიგში დგას გასული საუკუნის 50-იან წლებში აგებული და შემდგომ, 2009-2010 წლებში ვაკე-საბურთალოს ჩქაროსნული გზისა და ესტაკადის მშენებლობის გამო რეკონსტრუირებული გვირაბების გამტარუნარიანობისა და ეფექტურუნარიანობის საკითხი. ბ-ნმა გ. შერგილაშვილმა შენიშნა, რომ 2009-2010 წელს ჩქაროსნული გზისა და ესტაკადის მშენებლობისას, ძველი გვირაბების რეკონსტრუირებისა და ახალი გვირაბების მშენებლობისას პირდაპირ იქნა აღებული იმ გვირაბის ზომა, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში გაკეთდა, რაც არ იყო მიზანშეწონილი. ამ ეტაპზე მთავარია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც 2015 წლის 13-14 ივნისს მოსული ჭარბნალექიანობისა და წყალდიდობის განმეორების

შემთხვევაში, ქალაქს თავიდან ააცილებს იმ ნეგატიურ შედეგებსა და მსხვერპლს, რომელიც მოხდა 2015 წლის 13-14 ივნისს.

ბ-ნი გ. შერგილაშვილის განმარტებით, შესაბამისი დარგის სპეციალისტები და მეცნიერ-მუშაკები დაინტერესდნენ, 2015 წლის სტიქიური უბედურებისას მომხდარი ტრაგედიის გამომწვევი მთავარი მიზეზით. როგორც პროფესიით კონსტრუქტორმა, მან შესანიშნავად იცის გვირაბის კონსტრუქცია, ასევე, ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს არის დატკეპნილი გრუნტი, ძალიან მარტივი, იაფფასიანი და სეისმურად მედეგი ნაგებობა. მსგავს კონსტრუქციებს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა იყენებს (ბ-ნმა გ. შერგილაშვილმა მოიყვანა საფრანგეთის მაგალითი), რადგან მიწისძვრისას მსგავსი კონსტრუქციის ნგრევის სქემა 45 წუთს შეადგენს და ასეთ დროს ადამიანების ევაკუაცია ძალიან ეფექტიანია. თუმცა, აღმოჩნდა რომ 2015 წლის 13-14 ივნისს წყალმა მოაზვავა გრუნტი, რასაც დაემატა გვირაბის გოფრირებული ზედაპირის ხაოიანობის ნეგატიური ქმედებაც და გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ცენტრის მე-12 ფილიალის მიმდებარედ, წყლის მასის გადადინება მოხდა გვირაბის ზემოდან. გარდა ამისა, ბატონმა ზ. კერესელიძემ (გეოფიზიკოსი) დაიანგარიშა, თუ წყლის რა მოცულობის გატარება შეუძლია გვირაბს და აღმოჩნდა, რომ მდ. ვერეს ხელოვნური კალაპოტის გოფრირებული გვირაბების გამტარუნარიანობა არ შეიძლება აღემატებოდეს 200 მ<sup>3</sup>/წმ-ს. ამ შემთხვევაში, მერიის სამსახურებს ერთადერთი რაც შეუძლიათ, გვირაბთან წყლის შეგუების თავიდან აცილების მიზნით სისტემატურად გაწმინდონ ტერიტორია.

იმის გათვალისწინებით, რომ უკვე არსებული გვირაბების დანგრევა და მათ ადგილას სხვა, უფრო ეფექტიანი საინჟინრო კონსტრუქციების აგება შეუძლებელია, ამ ეტაპზე, საჭიროა განისაზღვროს ის სწორი გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების პრინციპი, რომლის საფუძველზეც, შესაძლო წყალდიდობისას შემცირდება მდინარის ნეგატიური ზემოქმედება.

აზრი გამოთქვა ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ, რომელმაც ისაუბრა გმირთა მოედანზე არსებული გვირაბის გამტარუნარიანობის თაობაზე. მისი აზრით, თუნდაც მდინარის ზედა წელში არსებულმა გვირაბებმა გაატარონ წყალი, თუ გმირთა მოედანთან, მდ. ვერეს მდ. მტკვართან შეერთების წერტილში გვირაბი ვერ გაატარებს წყლის მთლიან მოცულობას, პრობლემა კვლავ იდგება დედაქალაქის წინაშე. მით უმეტეს, რომ წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე, გვირაბის გამტარუნარიანობა 435 მ<sup>3</sup>/წმ-ია (აღნიშნული მონაცემი მითითებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 7 აგვისტოს №005351016 გაცემულ ექსპერტიზის დასკვნაში „პასუხები ექსპერტიზის შენიშვნებზე მდ. ვერეს კალაპოტის ფორმირება“, I უბანი პკ 0 – პკ 16, პუნქტი 7), ხოლო შესაბამისი ექსპერტ-სპეციალისტების გათვლებით სხვა, მეტად ნაკლები მონაცემია (200 მ<sup>3</sup>/წმ). ამიტომ საჭიროა ისეთი გადაწყვეტების მოძიება, რომელიც შეაკავებს ზედმეტი წყლის მასას გმირთა მოედნამდე, შეიძლება ეს დარეგულირდეს მდინარე ვერეს ზედა წელში ხელოვნური მართვადი საგუბარების მოწყობით.

ბ-ნი ერეკლე კუხიანიძის აზრით, ასევე, საჭიროა წყლის რეზერვუარების მოწყობაზე ფიქრიც, სადაც გარკვეული პერიოდით მოხდება მდინარის წყლის ზედმეტი მოცულობის შეკავება, სანამ ვერეს ხეობის ქვედა ნაწილში არსებული გვირაბები გაატარებენ წყლის იმ ოდენობას, რაზეც გათვლილია მათი დიამეტრი. შესაძლოა, ეს სრულყოფილი სისტემა არ იყოს, მაგრამ, ამ ეტაპზე, ამაზე მეტის გაკეთება შეუძლებელია. ამიტომ სხდომაზე მოწვეული კომპეტენტური სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად უნდა იქნას მიღებული სათანადო გადაწყვეტილებები და დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები მომავალში ვერეს ხეობის სავარაუდო დატბორვის შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმიზაციისთვის.

შეკითხვა დასვა ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა, რომელიც დაინტერესდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების პოზიციით. კერძოდ, 2015 წლის 13-14 ივნისის ტრაგედიის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იმჟამინდელი ხელმძღვანელი პირების მიერ ტრაგედიის გამომწვევ მიზეზად დასახელდა მდ. ვერეს კალაპოტში არსებული გვირაბების გამტარუნარიანობა. შესაბამისად, ჩნდება კითხვები, პირველი, მოხდა თუ არა დედაქალაქის წინაშე არსებული პრობლემების შესწავლა-ანალიზი, მაგალითად, იყო თუ არა კატასტროფის მიზეზი გვირაბების გამტარუნარიანობა, ან რომელ წერტილში ვერ მოხდა წყლის მთლიანი მოცულობის გატარება; მეორე, თუ ჩატარდა ანალიზი და გაკეთდა პრობლემების ჩამონათვალი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა თუ არა აღნიშნული პრობლემების მოგვარების სქემა (პირობითად, გვირაბის დიამეტრის გაზრდა, ან ბიუჯეტის თანხების მობილიზება პრობლემის გადაწყვეტის მიზნით), რადგან, საქმე ეხება ერთ-ერთ ცენტრალურ გზას და ადამიანების უსაფრთხოებას; და მესამე, თუ მერიის პოზიციას, რომ ამ გვირაბების რეკონსტრუქცია (პირობითად, პარამეტრების გაზრდა) შეუძლებელია, მაშინ რა უნდა გაკეთდეს გმირთა მოედანზე არსებული ჩქაროსნული გზის და დედაქალაქის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ამ შეკითხვებზე პასუხი აუცილებლად გასაცემია, რადგან კომისიის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებით, კომისია იღებს პასუხისმგებლობას შემდგომში განვითარებულ მოვლენებზე.

აზრი გამოთქვა ბ-ნმა ზ. ბაქრაძემ, რომელმაც ისაუბრა 2009-2010 წლებში აშენებული ჩქაროსნული გზის შესახებ. მისი აზრით, ავტომაგისტრალი გმირთა მოედანსა და თამარაშვილის ქუჩას (ვაკე-საბურთალოს გზას) შორის, ქალაქისა და საკუთრივ სატრანსპორტო განვითარების თვალსაზრისით შეცდომა იყო - ამით მოისპო ამ ადგილას მდინარის ქვევასთან თანხმობაში მყოფი სარეკრეაციო სივრცის შექმნის შესაძლებლობა და განხორციელდა სატრანსპორტო ღონისძიება, რომელმაც ხელი შეუწყო ქალაქში მოძრავი ინდივიდუალური ავტომანქანების რაოდენობის ზრდას. ამას დაერთო მაგისტრალის კონკრეტული დაგეგმვის შეცდომები, რომელთა შედეგად მდინარე ვერე რამდენიმე ადგილას დამატებით მოექცა გვირაბებში. აღნიშნულმა შეცდომებმა 2015 წლის 13-14 ივნისის წყალდიდობისას გამოიწვია ნგრევა, ისევე, როგორც ადამიანთა და ცხოველთა მსხვერპლი. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, მდინარემ დაგვანახა მთელი ეს უბედურება -

დაანგრია ადამიანის უფუნურებით გაკეთებული კონსტრუქციები. მიუხედავად იმისა, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო კომისიის სხდომაზე ექსპერტ-სპეციალისტების მიერ გამოითქვა მოსაზრებები და წინადადებები ავტომაგისტრალის გადატანის აუცილებლობის თაობაზე, ყოფილი მერის (დ. ნარმანია) მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, იმავე წელს, ვერეს ხეობის ამ მონაკვეთზე მაინც ჩატარდა ავტომაგისტრალის აღდგენითი სამუშაოები არსებითად იგივე, არასწორად დაგეგმილი წყალგამტარების სისტემის გამოყენებით. აღდგენითი სამუშაოების შედეგად შექმნილი მდგომარეობა შეიცავს საფრთხეებს წყალდიდობის შემთხვევაში და არ იძლევა ისეთი სარეკრეაციო სივრცის შექმნის საშუალებას, რომელიც შეარბილებდა წყალდიდობის უარყოფით ზემოქმედებას ლოკალურ გარემოზე.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ ავტომაგისტრალი გმირთა მოედანსა და თამარაშვილის ქუჩას (ვაკე-საბურთალოს გზას) შორის უკვე არსებობს და ამ მოცემულობის გათვალისწინებით უნდა იქნას მიღებული სათანადო გადაწყვეტილებები, რის გამოც სხდომის მონაწილეებს სთხოვა, ყურადღება გამახვილდეს არსებითად განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

ბ-ნი ზ. ბაქრაძის განმარტებით, სხვა მოცემულობებთან ერთად გვაქვს ერთი მოცემულობა - გმირთა მოედნის ქვეშ არსებული გვირაბი ვერ ატარებს იმ მოცულობის წყალს, რაც შესაძლოა წარმოიქმნას წყალდიდობის დროს. ამიტომ, საჭიროა რამდენიმე ეტაპიანი გადაწყვეტილების მიღება. ყველაზე გონივრული იქნება, პირველი, შემუშავდეს გრძელვადიანი (20 წლიანი), რამდენიმე ეტაპიანი პროგრამა, რომლის საბოლოო მიზნად განისაზღვრება გმირთა მოედანსა და თამარაშვილის ქუჩას (ვაკე-საბურთალოს გზას) შორის არსებული მაგისტრალის გაუქმება. ამ გზის გაუქმება დაკავშირებულია სატრანსპორტო პოლიტიკის განსაზღვრასა და ახალ სატრანსპორტო დაგეგმარებასთან, რაც უკვე დაიწყო თბილისში და რომლის პრაქტიკაც მსოფლიოში უკვე არსებობს. ამ მონაკვეთზე, გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის გზით, არსებული გვირაბის გამტარუნარიანობის გაზრდასთან ერთად, ასევე, საჭიროა განხორციელდეს ხიდის მშენებლობა ვაკე-საბურთალოს გზის დამბის ნაცვლად; და საბოლოო მიზანი უნდა იყოს ვერეს კალაპოტის გაფართოება (რომელიც განხორციელდება მეორე-მესამე ეტაპზე), რადგან მდინარის სიგანეში გასვლით, წყლის დონე სიმაღლეში ვერ მოიმატებს. ამასთან ერთად, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ვერეს ხეობის გაწმენდა მყარი ნარჩენებისა და ინერტული მასალისგან, რადგან ამ მხრივაც კატასტროფული სიტუაციაა შექმნილი.

აზრი გამოთქვა ბ-ნმა არჩილ მაღალაშვილმა ვერეს ხეობაში არსებული საინჟინრო კონსტრუქციების მშენებლობა-მონტაჟის თაობაზე. კერძოდ, გამომსვლელის განმარტებით, ამ კონსტრუქციის მშენებლობა-მონტაჟი განხორციელდა ყოველგვარი კვლევების გარეშე და მთის მდინარეზე ახალი წინაღობები შეიქმნა, რაც ძალიან სამწუხაროა, მით უმეტეს, თანამედროვე პირობებში, როდესაც შეცვლილია კლიმატი, გარემო-ფაქტორები და ძველი, გასული საუკუნის გათვლები და კვლევები აღარ შეესაბამება თანამედროვე პირობებს. თუნდაც, გადაწყდეს მდ. ვერეს კალაპოტში

არსებული გვირაბებისა და მდინარის კალაპოტის პრობლემა, ქალაქი მაინც რჩება საფრთხის წინაშე, რადგან მდინარის ზედა დიობში, პერსპექტივაში გვაქვს ხელოვნური კაშხლის შექმნის საშიშროება. 2015 წლის 13-14 ივნისს, მდინარის ზედა წელში წამოსული მეწყრის გამო, ჩამოშლილი ქანების დაგროვებით, მოხდა წყლის დაგუბება და ხელოვნური კაშხლის წარმოქმნა. შესაბამისად, მდინარის ქვედა წელში ხეობა სრულიად თავისუფალი რომც ყოფილიყო, სტიქიური უბედურება მაინც მოხდებოდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ ტერიტორიაზე ისეთი სტრუქტურის ქანებია, რომელიც ძალიან მარტივად იმეწყრება. სოფ. თონეთამდე ცნობილი კანიონია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე ქანები დაქანებულია საპირისპირო მიმართულებით, დამეწყვრა მაინც მოხდა და ეს მდ. ვერეს ჩადენილია. ამიტომ, თავდაპირველად საჭიროა პრობლემის შესწავლა და შემდეგ გადაწყვეტილების მიღება. იმისთვის, რომ მსგავსი შეცდომა კვლავ აღარ განმეორდეს, საჭიროა გაკეთდეს საფუძვლიანი კვლევა, ჩაიდოს შესაბამისი კოეფიციენტები იმ გაზრდილი რისკებით, რომელიც არსებობს და ყოველივე ამის შემდეგ განისაზღვროს კონკრეტული ქმედებები. ამის პრაქტიკა მსოფლიოშიც არსებობს და მით უმეტეს, საქართველოში მსგავსი კონსტრუქციები სამ ადგილას უკვე აგებულია. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის პროცესში მსგავსი კვლევები ჩატარდა დატბორვის, თოვლის, წვიმისა და ასევე ნავთობის ხელოვნური დაღვრის ფაქტორების გაანგარიშებებით და ამ კვლევების საფუძველზე, დაბა ანდეზიტის თავზე სამი მართვადი ხელოვნური ხიდი აიგო. ამ მართვად კონსტრუქციებზე დამონტაჟებულია სპეციალური მოწყობილობები, რომელიც მუშაობს შესაბამის ალგორითმზე. იგი ავტომატურად კეტავს და ხსნის წყალგამშვებს იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის წყალი მოძრაობს. ამის საშუალებით ხდება წყლის მოცულობის რეგულირება. ასევე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილის გავლის რისკის შემცველ ტერიტორიებზე ისეა მოწყობილი ლანდშაფტი, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნას ხელოვნური საგუბარისთვის და ნებისმიერი ზემოქმედება (თიბვა, მშენებლობა და სხვ.) ტერიტორიაზე აკრძალულია. მსგავსი რამ უნდა გაკეთდეს მდ. ვერეს კალაპოტშიც, მათ შორის მდინარის ზემო წელში და ეს ყველაფერი იმუშავებს ავტომატურ რეჟიმში, ადამიანის ჩარევის გარეშე, რაც გამორიცხავს შეცდომის დაშვების ალბათობას. მართალია, შეცდომით, მაგრამ ეს ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უკვე არსებობს ვერეს ხეობაში და შესაძლებელია მისი ჭკვიანურად გამოყენება ქალაქის საკეთილდღეოდ (იგულისხმება ვაკე-საბურთალოს გზა და გმირთა მოედნის გვირაბი), პორციული წყალსაცავებისა თუ დამცავების მოწყობის სახით. ასევე, თუ არ არსებობს, აუცილებელია სპეციალური რეაგირებისა და გენერალური გეგმების შემუშავება, კატასტროფების შემთხვევაში სათანადო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ბ-ნმა ა. მაღალაშვილმა ასევე ყურადღება გაამახვილა გლდანის ხევისა და მდ. გლდანულაზე, რომელიც არანაკლებ საფრთხის შემცველია. მიუხედავად იმისა, რომ მდ. ვერეს მსგავსად აღნიშნული მდინარის კალაპოტიც ძირითადად მშრალია, 2010 წელს (24 ივნისი) ინტენსიური წვიმების შედეგად აღიდებულმა მდინარემ დააზიანა გლდან-ცხვარიჭამიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო ხიდი, ხოლო თბილისის შემოვლით

გზაზე ესტაკადას ბურჯი მოურღვია და შუა ნაწილი ჩამოანგრია. ასეთი მდინარე ბევრია თბილისსა თუ მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ბ-ნმა გ. შერგილაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ ვერეს ხეობაში, კერძოდ, ვერეს ჭალაში საჭიროა ბალახისა და ხე-მცენარეების არსებობა, რომელიც იკავებს მდინარის კალაპოტსა და ხელს უშლის წყლის კალაპოტიდან გადადინებას. სამწუხაროდ, ხეობა და მთლიანად მდინარის კალაპოტი დაბინძურებულია სამშენებლო მასალების ნარჩენებით. ამის აღსაკვეთად, საჭიროა შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და სათანადო ზომების მიღება.

აზრი გამოთქვა ბ-ნმა ზ. კერესელიძემ, რომელმაც ისაუბრა მიმდინარე წლის აპრილის თვეში (დაიწყო 8 აპრილს და გაგრძელდა რამდენიმე დღე), მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ ვერეს ხეობის მიმდებარე ტერიტორიაზე (თამარაშვილის ქუჩიდან ახალი გზის მიმართულებით) განხორციელებული დასუფთავების ღონისძიებებსა და იმ აქცენტებზე, რომელიც გაკეთდა ინერტული და მყარი ნარჩენების ხეობაში დაყრის შესახებ.

ბ-ნმა ზ. კერესელიძემ აღნიშნა, რომ არ ეთანხმება ბ-ნი არჩილ მაღალაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მდინარის ზედა წელში წამოსული მეწყრის გამო, ჩამოშლილი ქანების დაგროვებით, მოხდა წყლის დაგუბება. გამომსვლელის განმარტებით, წყალი უკვე დაგუბებული იყო, როდესაც მეწყერი ჩამოწვა. თუმცა, მისი ფაქტორი ნამდვილად გასათვალისწინებელია.

ბ-ნმა ზ. კერესელიძემ წარმოადგინა მათემატიკურ გათვლებზე დაყრდნობით მიღებული მონაცემები. ამ გათვლებისა და სიმულაციის შედეგად მიღებული მონაცემებით, შეიძლება ითქვას, რომ არანაკლებ ძლიერი დატბორვის ზონა შეიქმნა პირველი გვირაბის გამოსასვლელსა და მეორე გვირაბის შესასვლელს შორის არსებულ ტერიტორიაზე. ამის მთავარი მიზეზი, 2009-2010 წლებში, ვაკე-საბურთალოს ჩქაროსნული გზისა და ესტაკადის მშენებლობისას, ვერეს ხეობის კალაპოტის ფორმირების პროექტში არსებული (დაშვებული) ტექნიკური ხარვეზებია. 2015 წლის 13-14 წლის მოვლენების მოდელირებისა და დაანგარიშების შედეგად მიღებულ იქნა მიახლოებითი ციფრი, რომლის მიხედვით მდ. ვერეს ხელოვნური კალაპოტის გოფირირებული გვირაბების გამტარუნარიანობა არ შეიძლება აღემატებოდეს 200 მ<sup>3</sup>/წმ-ს.

დაბოლოს, ერთი თვის წინ (08.03.2019 წ.) დაცული იქნა დისერტაცია ჰიდროავლიკურ პრობლემებთან დაკავშირებით (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, ირინე ხვედელიძე, სადოქტორო ნაშრომი, „დახურული კალაპოტის გვირაბების ჰიდროდინამიკური პრობლემების შესწავლა“, თბილისი, 01.03.2019 წ.), რომელშიც გარდა მდ. ვერეს ხელოვნური კალაპოტის გოფირირებული გვირაბების გამტარუნარიანობისა, მიახლოებით შეფასებულია სპონტანური წყალსაგუბრების მოცულობაც. შესაბამისად, კატასტროფა მოხდა ზუსტად გაბაშვილის ქუჩაზე, მდინარის გადადინებისას. შესაბამისად, კრიტიკული წერტილი

არის გვირაბის შესასვლელთან, მაგრამ ზოგადად ეს ტერიტორია ძალიან სახიფათო ზონაა. შესაძლოა, სამომავლოდაც განმეორდეს რეზერვუარების სპონტანურად შექმნა.

ამის შემდეგ, ბ-ნმა ზ. კერესელიძემ შეკითხვით მიმართა ბ-ნ ა. მაღალაშვილს და სთხოვა დაზუსტება, ბორჯომულას ხეობაში შესაბამისი საინჟინრო კონსტრუქციების დაპროექტება-მშენებლობისას თუ იქნა გათვალისწინებული ხაოიანობის ფაქტორი, რაც, მდ. ვერეს კალაპოტში არსებული გვირაბების შემთხვევაში, არ გაითვალისწინეს დამპროექტებლებმა.

ბ-ნი არჩილ მაღალაშვილის ინფორმაციით, მდ. ბორჯომულას შემთხვევაში, საინჟინრო ნაგებობების დაპროექტება-მშენებლობა განხორციელდა ხაოიანობის კოეფიციენტის გათვალისწინებით. აღნიშნული გათვლები გაკეთდა უცხოელი ექსპერტების მიერ.

აზრი გამოთქვა ბ-ნმა გ. ბათიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა მდ. ვერეზე აგებული შენობებისა და საინჟინრო ნაგებობების საკითხთან დაკავშირებით. გამომსვლელის განმარტებით, მდინარის ადიდება ხდება გარკვეული ციკლით, თუმცა მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე, წყალდიდობის პერიოდულობა შემცირებულია. ბ-ნმა გ. ბათიაშვილმა ისაუბრა მთის მდინარეების (დაბახანა, ვერე და სხვ.) ადიდებისა და მათი წყალმოვარდნის დროს თბილისში დატრიალებული ტრაგედიების შესახებ. მისი განმარტებით, დედაქალაქში 56 ხევია, რომელთა ნახევარზე მეტი მშრალია, თუმცა მშრალი ეს მხოლოდ სიტყვიერად, რეალურად კი, უხვნალექიანობის დროს ხდება მდინარეების ადიდება და წყალმოვარდნები.

გამომსვლელის ინფორმაციით, მდ. ვერეს კალაპოტი დაკლაკნილია და მისი მარჯვენა ფერდი, თავისი სტრუქტურითა და აგებულებით, საკმაოდ საშიშია. ამიტომ, თუ შესაძლებელია, უნდა იქნას შესწავლილი ზუსტად მდ. ვერეს მარჯვენა ფერდი და ისე დაიგეგმოს სათანადო ღონისძიებები, რათა შემცირდეს წყლის დარტყმის ძალა. თუმცა, კალაპოტის გამტარუნარიანობის გაზრდის გარეშე (რომელიც კალაპოტის გაფართოებით უნდა იქნას მიღწეული), პრობლემა ვერ გადაიჭრება. ასევე, აუცილებლად უნდა გადაიჭრას ვარაზისხევის საკითხიც, რადგან, გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსკენ, ვერეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი შენაკადი, ვარაზისხევი, ბეტონის სადინარში მოაქციეს და ამოავსეს მეტროს მშენებლობისას გამოტანილი ინერტული ნარჩენებით, რაც დიდი შეცდომა იყო. იმისთვის, რომ მდინარემ არ გამორეცხოს მარჯვენა ფერდი, აუცილებელია ტერიტორიის გამაგრება. ამჟამად, მდინარის კალაპოტში, სამ ადგილზე აშენებულია გვირაბი და მდინარე მოექცა მარწუხებში, ესეც კიდევ ერთი მთავარი შეცდომა. ამის ნაცვლად, უნდა აშენებულიყო ესტაკადა და მდინარე თავისუფალ დინებაზე უნდა მიეშვათ. ყოველივე ამის გადაწყვეტა შესაძლებელია გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმითა და განხორციელებით. ყველა სხვა ფაქტორთან ერთად, გასათვალისწინებელია მდინარის დინების სიჩქარე და მისი კალაპოტის მიმართულება, როდესაც წყალი მოედინება საკმაოდ სისწრაფით, შემდეგ კი მიდის მრუდზე, ამ მრუდიდან საპირისპირო კუთხით არ უნდა არსებობდეს წინაღობა. თუ კვლავ განმეორდება 2015

წლის 13-14 ივნისის მსგავსი სტიქიური მოვლენები, მდინარე წამოიღებს ნაშალს და რომელიმე კრიტიკულ წერტილში აუცილებლად შექმნის კაშხალს. ამიტომ, პროგრამა მაქსიმუმია დასამუშავებელი. აუცილებლად უნდა გაუქმდეს ავტომაგისტრალი გმირთა მოედანსა და თამარაშვილის ქუჩას (ვაკე-საბურთალოს გზას) შორის და აიგოს ესტაკადები, რაც მდინარეს მისცემს თავისუფლად მოძრაობის საშუალებას, ხოლო ტერიტორია მხოლოდ ესთეტიური და სარეკრეაციო დანიშნულებით იქნება გამოყენებული.

**ბ-ნმა ზ. კერესელიძემ** დამატებით ისაუბრა იმ კრიტიკულ წერტილზე, რომელიც გვირაბის კედელთან წყლის ნაკადის შეჯახებისას წარმოიშობა.

სხდომის მონაწილეებმა (გ. შერგილაშვილი და ზ. კერესელიძე) წარმოადგინეს რიგით მეორე გვირაბის (ყიფშიძის ქუჩის მიმდებარედ) ფოტო-მასალა (გადაღებული 07.07.2017წ.).

წარმოდგენილი ფოტო-მასალის შემდეგ, ბ-ნმა ზ. კერესელიძემ აღნიშნა, რომ არსებობს ზუსტი რადარი, რომლის მონაცემებით 2017 წლის 7 ივლისს დაფიქსირებული ნალექიანობის მაჩვენებელი არ აღემატებოდა 20 მილიმეტრს წაშში, თუმცა, რეკონსტრუირებულ გვირაბში, რომლის ფსკერიც რატომღაც დაბეტონებულია, აშკარად შეინიშნება წყლის დონის მატება. ისმის კითხვა, ვისგან გაიცა გვირაბის ფსკერის დაბეტონების დავალება და რა მიზეზით, რადგან ეს ცუდ შედეგებს გამოიწვევს. ეჭვის დონეზე გამოითქვა ვარაუდი, რომ, შესაძლოა, გრუნტის წყლების გამო დაიძრა გრუნტი და ამ მიზეზით განხორციელდა მისი გამაგრება ბეტონის საფარით. როგორც ცნობილია, ამ მონაკვეთზე დამატებით 30 მ<sup>3</sup> წყალი ჩაედინება ყიფშიძის ქუჩაზე (ვაკის ფერდობიდან) გამავალი კოლექტორებიდან, ამას ემატება გრუნტის წყლებიც. მიწა დატკეპნილია და ყველა ეს ზემოაღნიშნული გარემოება იწვევს გრუნტის ძვრადობას. გარდა ამისა, სიტუაციას უფრო ამძიმებს ისიც, რომ რეკონსტრუქციის შედეგად გაკეთდა ხაოიანი ბეტონის კედლები. ამ ყველაფერის ერთობლიობამ შეიძლება გამოიწვიოს წყალდიდობა, წყლის მასის გადადინება გვირაბის ზემოდან და მიმდებარედ არსებული მაღალსართულიან კორპუსებში შევარდნა.

შეკითხვა დასვა ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, ვერეს ხევში შესაძლო მშენებლობების თაობაზე. კერძოდ, რამდენად შესაძლებელი და რეკომენდებულია რაიმე სახის მშენებლობის წარმოება ვერეს ხეობაში, მაგალითად, ზოოპარკის მოპირდაპირე მხარეს, მზიურის გვერდით.

ბ-ნმა გ. შერგილაშვილმა და ბ-ნმა გ. ბათიაშვილმა განმარტეს, რომ სამშენებლო ნორმების თანახმად, ნებისმიერი სახის მშენებლობა - იქნება ეს მრავალსართულიანი შენობა-ნაგებობები, საცხოვრებელი კორპუსები თუ საყარაულო ჯიხური, - კატეგორიულად დაუშვებელია.

ბ-ნმა ზ. ბაქრაძემ დამატებით აღნიშნა, რომ მიუხედავად სამშენებლო ნორმების მოთხოვნისა, აღნიშნულ ტერიტორიებზე გაცემულია მშენებლობის ნებართვები, რაც უგუნურებაზე მეტყველებს.

ბ-ნი არჩილ მაღალაშვილის განმარტებით, თანამედროვე პირობებში, შესაძლებელია ნებისმიერი სახის მშენებლობის წარმოება, მთავარია, ჩატარდეს კვლევა და მის საფუძველზე სწორად იქნას შეფასებული და გათვლილი რისკები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი მშენებლობა გაუმართლებელი და დაუშვებელი იქნება.

ბ-ნი ერეკლე კუხიანიძის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო სამუშაოების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი საექსპერტო დაწესებულებები, მეცნიერები და სპეციალისტები, მაინც იქნა დაშვებული შეცდომები, რომელიც აუცილებლად გამოსასწორებელია, თუნდაც არაორდინალური გადაწყვეტილების მიღებით.

შეკითხვა დასვა ბ-ნმა ერეკლე სუხიტაშვილმა დამოუკიდებელი ექსპერტ-სპეციალისტების რეკომენდაციებისა და წინადადებების თაობაზე. კერძოდ, სხდომის მონაწილე ექსპერტები და სპეციალისტები პრობლემის გადაწყვეტის რა კონკრეტულ წინადადებებსა და გზებს სთავაზობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერსა.

ბ-ნმა გ. ბათიაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აუცილებელია რეკომენდაცია გაეწიოს მდ. ვერეს კალაპოტის გათავისუფლებას და გმირთა მოედანზე ესტაკადების მოწყობას.

ბ-ნი ერეკლე კუხიანიძის აზრით, ფაქტია, რომ 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო სამუშაოები განხორციელდა, მაგრამ სხდომაზე მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სპეციალისტების აზრით, გაწეული სამუშაოები არ არის საკმარისი პრობლემების აღსაკვეთად. ამიტომ, საჭიროა პრობლემის დანახვა-გააზრება და შემდგომ კონკრეტული რეკომენდაციის გაწევა. თუმცა, შესაბამისი სამსახურების გარეშე რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება ვერ მოხდება. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა განეკუთვნება თუ არა მერიის კომპეტენციას (საპროექტო დავალებების შემუშავება და შესყიდვა, სამუშაოების განხორციელება და ა.შ.). მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განისაზღვროს, რა უფრო მისაღებია: გვირაბების გაგანიერება, ესტაკადების აგება თუ გარკვეული სივრცეების (საგუბრების) შექმნა ჭარბნალექიანობისას წყალდიდობის თავიდან აცილების მიზნით. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია კომისიის სხდომის მონაწილე საქალაქო სამსახურების პოზიცია პრობლემისა და მისი გადაწყვეტის გზების თაობაზე.

აზრი გამოთქვა ქ-ნმა თ. შარაშიძემ, რომელმაც ისაუბრა 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო სამუშაოების შესახებ და დამსწრე საზოგადოებას მიმართა წინადადებით, რომ ჩატარდეს ვერეს ხეობის ახალი, კომპლექსური კვლევა. ხოლო კვლევის განმახორციელებლად დაასახელა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, რომელიც რეალურად უნდა მუშაობდეს აღნიშნულ პრობლემაზე. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ვერ იმუშავებს იმ ნაწილში (ჰიდროლოგია, გეოლოგია, ჰიდროგეოლოგია), რომელიც სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება. თბილისის აღმასრულებელ ხელისუფლებას მხოლოდ შესაბამისი კვლევების ჩატარების

შემდეგ ექნება შესაძლებლობა დაგეგმოს სათანადო ღონისძიებები და განახორციელოს შესყიდვა მომსახურებაზე (პროექტის დაკვეთა, სამუშაოების განხორციელება).

დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სპეციალისტების ნაწილის მიერ აღინიშნა, რომ კვლევები ჩატარებულია როგორც დამოუკიდებელი ექსპერტ-სპეციალისტების, ასევე, სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოების მიერ და ხელახალი კვლევების ჩატარება საწყის წერტილზე დაბრუნებას ნიშნავს.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ ისაუბრა იმ სამუშაო შეხვედრებისა და ვერეს ხეობაში განხორციელებული სამუშაოების შედეგების დათვალიერების შესახებ, რომელიც კომისიის ინიციატივით შედგა 2018 წლის ივნისიდან დღემდე. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს როგორც საკრებულოსა და კომისიის წევრებმა, ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურების (გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურის განვითარების, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურები და ასევე, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური) წარმომადგენლებმა, 2015-2017 წლებში, ვერეს ხეობის კალაპოტის ფორმირების პროექტის შემსრულებელი კომპანიის - შპს „კავტრასპროექტის“ წარმომადგენელმა, გეოფიზიკოსმა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა (ურბანისტი, არქიტექტორი, ინჟინერ-ჰიდროლოგი, ინჟინერ-კონსტრუქტორი და გეოლოგი).

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ ის საკითხები, რომელიც კომისიის მიმდინარე სხდომაზე გაუღერდა, მათ შორის არსებული კვლევების თემა, სამუშაო შეხვედრებისას დეტალურად იქნა განხილული.

ქ-ნმა თ. შარაშიძემ დამატებით აღნიშნა, რომ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიც. თუმცა, სამუშაო შეხვედრების მონაწილე პირების ნაწილი (მაგ., სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი) კომისიის მიმდინარე სხდომას არ ესწრება. თუმცა, მიზანშეწონილი იყო მათი სხდომაზე დასწრება. ამიტომ, უმჯობესია რომ შედგეს გაფართოებული შეხვედრები ყველა მხარის პოზიციის შესაჯერებლად.

შეკითხვა დასვა ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ, კვლევების ჩატარების განმახორციელებელი ორგანოს თაობაზე.

ქ-ნი თ. შარაშიძის განმარტებით, საბიუჯეტო თანხების დაზოგვის მიზნით და იმის გათვალისწინებით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება (ჰიდროლოგია, გეოლოგია, ჰიდროგეოლოგია) შესაბამისი კვლევებისა და დაკვირვებების წარმოება და ამის რესურსიც გააჩნია, მიზანშეწონილია სააგენტომ განახორციელოს კვლევები, რის საფუძველზეც დაიგეგმება ვერეს ხეობაში გასატარებელი ღონისძიებები, იქნება ეს შეტბორვის ადგილების განსაზღვრა, ხელოვნური კაშხლის თუ სხვა საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა. ზუსტად ამ კვლევების საფუძველზე გაკეთდა ნატანდამჭერი ცხაურები, რომელიც უზრუნველყოფს შეტივტივებული ნატანის დაჭერას. 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურების ერთ-ერთი ფაქტორი, ზუსტად ეს

შეტივტივებული ნატანი (მდინარის მიერ ჩამოტანილი ნაშალი ქანები, ხე-მცენარეები და სხვ.) იყო.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ ისაუბრა იმ მოცულობით სამუშაოებზე, რომელიც არსებული პრობლემის გადასაწყვეტად უნდა განხორციელდეს. მისი აზრით, მიუხედავად მოცულობითი სამუშაოებისა, რომელსაც ქალაქი დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს, საჭიროა დედაქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები და ეთხოვოს ცენტრალურ ხელისუფლებას არსებული პრობლემის გადაწყვეტაში დახმარება. თუმცა, ის, რომ კვლევა მერიის ინიციატივით უნდა ჩატარდეს, ეს უდავოა.

აზრი გამოთქვა ბ-ნმა გ. ბათიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა ყველა არსებული კვლევა შესწავლილი და გაანალიზებული იქნას, გამოვლინდეს კვლევების სუსტი მხარეები და ამის შემდეგ ჩატარდეს დამატებითი კვლევები. თავისთავად ცხადია, რომ კვლევისა და ცოდნის გარეშე საქმე არ კეთდება, მაგრამ მთავარია გარემოსდაცვითი, ჰიდროგეოლოგიური და ქალაქგეგმარებითი დავალებები, რომელიც ქალაქის მერიის მიერ უნდა შესრულდეს. ეს დავალება აუცილებელია აგებული იყოს პროგრამა მაქსიმუმისა და ეტაპობრივი განხორციელების სისტემაში.

ბ-ნმა ზ. ბაქრაძემ დამატებით აღნიშნა, რომ სხდომაზე დასმული საკითხების გადაწყვეტა ერთმნიშვნელოვნად ქალაქის საქმეა და არ უნდა მოხდეს ამ მოვალეობის გადაცემა ცენტრალური ხელისუფლებისთვის.

გამომსვლელმა წინადადებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომ საკრებულომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მკაფიოდ განსაზღვრული ფორმულირებით, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის აღმასრულებელ ხელისუფლებას დაევალება ინტეგრირებული დავალების შემუშავება. ზუსტად გრძელვადიანი (25 წლიანი) ქალაქგეგმარება იქნება ის ინტეგრირებული დავალება, რომელშიც აისახება სხდომაზე დასმული ყველა პრობლემა და საკითხი.

ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე დაეთანხმა გამომსვლელებს და აღნიშნა, რომ სხდომაზე გამოთქმული წინადადებები აისახება სხდომის ოქმში, კომისია მოამზადებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე გასაგზავნ წერილს კონკრეტული დავალებით.

ქ-ნმა ირინა ჭეიშვილმა ისაუბრა იმ კვლევებისა და დავალებების შესახებ, რომლის საფუძველზეც, როგორც პრევენციის ერთ-ერთ ღონისძიებად, შემუშავდა ნატანდამჭერი ცხაურების პროექტები და განხორციელდა მშენებლობა. აღნიშნულ პროექტებზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულია შესაბამისი დასკვნები. გამომსვლელმა ასევე ყურადღება გაამახვილა ამ მიმართულებით შექმნილ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად სპეციალისტების სხვადასხვა პოზიციებისა, საჭიროა შეჯერებული გადაწყვეტილების მიღებით განხორციელდეს სათანადო სამუშაოები. ქ-ნი ირინა ჭეიშვილის აზრით, გარემოს დაცვის

კომისიის დავალება საკმარისი იქნება სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებისთვის.

ბ-ნმა გ. შერგილაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ სასწრაფო რეჟიმში უნდა გაიწმინდოს ვერეს ხეობა და მდ. ვერეს კალაპოტი ინერტული მასალისა და მყარი ნარჩენებისგან.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა შემაჯამებელი სიტყვით და აღნიშნა, რომ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. ამიტომ კომისია უახლოეს პერიოდში მიმართავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერსა და მთავრობას, რომ მაქსიმალურად მოკლე ვადაში შემუშავდეს მდ. ვერესთვის ოპერატიული ქმედებების დოკუმენტი ვერეს ხეობაში ექსტრემალური ნალექიანობის პირობებში მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით და შემუშავებული ოპერატიული ქმედებების დოკუმენტის თანახმად, გათვალისწინებული საინჟინრო ღონისძიებების რეალიზაცია დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის საქალაქო სამსახურს.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ერეკლე კუხიანიძე